საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY AUTHORITY

№ 04-1/2058 " 07 12 " 2011 წ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავჯდომარეს ბატონ ტ. ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე, გიგზავნით 01.12.2011 წელს გამოქვეყნებულ №226 საკონკურსო განცხადების – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების (დანართი #1) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის #301 ხელშეკრულებას და შ.პ.ს. ,,კერარქიტექტურა"–ს მიერ 07.12.2011 წელს #08/3540 წარმოდგენილ დაზუსტებულ საკონკურსო წინადადებას.

გთხოვთ, აღნიშნული დოკუმენტაცია გამოგვიქვეყნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე /გ. დორეული/

3000 ქ.მარნეული, რუსთაველის ქ. № 73 2 25 25 /// 99 87 93 RUSTAVELI str MARNEULI

საკონკურსო წინადადება

ადგილობრივ თვითმმართველობათა
ასოციაციაში
შემოვიდა
№ 03/3540
07 12 2011 წ.

თარიღი: 6 დეკემბერი 2011 წელი
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის: მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას
(შესყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კერარქიტექტურა"-საგან
(კონკურსანტის დასახელება)

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების (დანართი №1) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად – 5 (ხუთი) ეგზემპლიარად და
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: 28750 (ოცდარვაათასშვიდასორმოცდაათი) ლარი. მათ შორის ხელფასია 24364 ლარი + ღ.მ.გ. 4386 ლარი

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების (დანართი №1) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ ხელშეკრულება) ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: 06. 12. 2011წ.
(დღე, თვე, წელი)

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 მარტის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

შენიშვნა: წინადადება კორექტირებულია კონკურსზე გამართული ვაჭრობის შემდეგ.

შპს "კერარქიტექტურა"-ს დირექტორი გიორგი კერესელიძე

შესყიდვის ობიექტი: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების (დანართი №1) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

შემსყიდველი: მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

კონკურსანტი: შპს „კერარქიტექტურა"

ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ

გამარჯვების შემთხვევაში, წარმოდგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათ) დღეში, ჩვენს მიერ სრულად იქნება წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სამუშაოების კალენდარული გეგმა

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოთა ხანგრძლივობა (დღეები)									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	მოსამზადებელი სამუშაოები – უბნების შესწავლა, რუკების დაბეჭდვა	—									
2	საველე-აზომვითი სამუშაოები		—	—	—	—	—	—	—	—	
3	კამერალური სამუშაოები-სამუსაო ნახაზების შედგენა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
4	სამუშაოების მოცულობათა უწყისების, სადეფექტო აქტების შედგენა-დამტკიცება									—	
5	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა					—	—	—	—	—	
6	დოკუმენტაციის დაბეჭდვა										—

შენიშვნა: გრაფიკი კორექტირებულია კონკურსზე გამართული ვაჭრობის შემდეგ.

შპს "კერარქიტექტურა"-ს დირექტორი გიორგი კერესელიძე

KER Architecture

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №301

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 7 " დეკემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **ისპანდიარ ქერიმოვის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „კერარქიტექტურა"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კერესელიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და მიმწოდებლის (შ.პ.ს. „კერარქიტექტურა") საკონკურსო წინადადების საფუძველზე, (№226) კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

   1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

   1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

   1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

   1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

   1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

   1.6. "ტექნიკური დავალება"– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

   ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების (დანართი #1) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა . (CPV- 71322100–სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა).**

   2.1. . ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **28 750 (ოცდარვა ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.** მათ შორის სამუშაოთა მოცულობა 24 364 (ოცდათოთხი ათას სამას სამოცდათოთხი) ლარი + დ.ღ.გ. 4 386 (ოთხი ათას სამას ოთხმოცდაექვსი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. ვინაიდან მიმწოდებელი არ წარმოადგენს დ.ღ.გ-ს გადამხდელ სუბიექტს , ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 24 364 (ოცდაოთხი ათას სამას სამოცდაოთხი) ლარს.

3.4. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში – 19 დეკემბრამდე.** იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან "მიღება-ჩაბარების" აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარის 14.01.2011 წლის №5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი მიმღები კომისია.**

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე და ინფრასტრუქტურის** განვითარების, **სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი მალაქია დეკანოიძე.**

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ არა უგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

15.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლები 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

16. დავების გაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **31.12.2011 წ-მდე.**

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:
მარნეულის მუნიციპალიტეტის
თვითმმართველობა
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73

ს.კ. 234232149
მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი; ბანკის კოდი 220101408;
ა/ა GE22LB0120166049432000;

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „კერარქიტექტურა"

მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ.#25/3

ს.კ. 205 280 042
მომსახურე ბანკი: ს.ს „თიბისი ბანკის" საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა.ა GE86TB1939236050100002

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

/ი. ქერიმოვი/

(ბ.ა.)

დირექტორი:

/გ. კერესელიძე/

(ბ.ა.)

მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსი:

/მ. სამაშვილი/

შესყიდვების მთავარი სპეციალისტი:

/ზ. კვანჭიანი/